
იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა

თარგმანები

ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი
(მარინა მაისურაძის თარგმანი), თბილისი, 2003, 358, ISBN 99928-0-748-2

ჰერმან შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში (ქეთევან ალექსიძის თარგმანი), თბილისი, 2003, 488, ISBN 99928-0-710-5

მეოცე საუკუნის დასასრულს ქართულ სინამდვილეში განვითარებულმა მოვლენებმა არსებითად შეცვალა სამართლებრივი სისტემის შინაარსი, რაც ადეკვატურად აისახა იურიდიულ ლიტერატურასა და სამართალმეცნიერებაში. ქართული სამართლებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია. განვლილი წლები, ისტორიული ქრონომეტრაჟის მიხედვით, მცირე დროა სრულყოფილი შედეგის მისაღწევად. დღემდე ბიბლიოთეკის თაროებზე ქართულენოვანი იურიდიული ლიტერატურის სერიოზული დეფიციტია. განსაკუთრებით პრობლემური საჯარო სამართლებრივი მიმართულებაა, რომელმაც ყველაზე მკაფიოდ შეიცვალა შინაარსი. შესაბამისად, იურიდიული საზოგადოებისათვის შეთავაზებულ ნებისმიერ ღირებულ ნაშრომს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. ამ თვალსაზრისით ღირსშესანიშნავია ქართულ ენაზე მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ცნობილი მოღვაწეების: ანდრამ შაიოსა და ჰერმან შვარცის ნაშრომების გამოქვეყნება. ამ ავტორებმა თავიანთი პროფესიონალიზმითა და ენერგიულობით ქართველი იურისტებისა და ტრანსფორმაციის პერიოდში მყოფი ჩვენი სახელმწიფოს წინაშე მნიშვნელოვანი როლი იმითაც შეასრულეს, რომ მონაწილეობა მიიღეს მოქმედი კონსტიტუციის შემუშავების და მიღების პროცესში.

უნგრელი პროფესორის – ანდრამ შაიოს „მახვილგონივრული და სააზროვნო“ ნაშრომის – „ხელისუფლების თვითშეზღუდვა“ – ქართული თარგმანი უდიდესი შენაძენია კონსტიტუციონალიზმის თეორიით დაინტერესებული მკითხველისათვის. იგი ასევე სამაგიდო წიგნია იმ პირთათვის, რომელთაც ხელეწიფებათ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება და მისთვის ხელშეწყობა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია წიგნის ის ნაწილი, რომელიც ხელისუფლების შტოთა კონტროლისა და ბალანსირების კვლევის ხელოვნებას ეთმობა. დინამიკური ბალანსის რეკლამირება მსოფლიო პრაქტიკიდან უამრავი ნორმატიული თუ ფაქტობრივი მასალის მოშველიებითა და საბედისწერო კავშირების ანალიზის დემონსტრირებით ხდება. სამაგალითოდაა გაანალიზებული ხელისუფლების თითოეული განშტოების ხიბლი თუ უფლებამოსილების მითვისების საშიშროება.

უაღრესად საინტერესო დასკვნებია ჩამოყალიბებული ნაშრომის იმ ნაწილში, რომელშიც საუბარია კონსტიტუციაზე, როგორც შიშისა და აღიარების შედეგზე. წარმოჩენილია მისი ერთგვარი ორბუნებოვნება: ერთი მხრივ, ტირანიასთან მებრძოლის როლი, მეორე მხრივ, მექანიზმი ანარქიის, პარალიზებულობის, კორუფციის, „პოლიტიკოსების სისულელის“ წინააღმდეგ. ავტორი კონსტიტუციონალიზმის ორსაუკუნოვანი პერიოდის ანალიზზე დაყრდნობით აყალიბებს დემოკრატიული კონსტიტუციის საზღვრებს, რომელიც შემზღუდავ

ბარიერებს უწესებს როგორც არჩევნების გზით მოსულ თანამდებობის პირებს, ისე ხალხს, ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყაროს. მკითხველის თვალწინ გადაშლილია დემოკრატიის „მოთვინიერების“ ავტორისეული ხედვა, რომელიც უაღრესად საინტერესოდ წარმოაჩინს ხალხის „წყალწყალა“ სუვერენიტეტისა და სუსტი დემოკრატიის არასასურველ შედეგებსა და პრობლემებს, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს უმრავლესობის ძალაუფლებას, დემოკრატიის კონსტიტუციურ შეზღუდვას, რეფერენდუმიდან გამომდინარე დესტაბილიზაციის შესაძლებლობას.

„ხელისუფლების თვითშეზღუდვა“ საინტერესოა ძირითადი უფლებების კვლევის თვალსაზრისითაც. ნაშრომის შესაბამის ნაწილში ჩამოყალიბებულია ავტორისეული შეხედულებები ძირითადი უფლებების რეგლამენტაციის ისეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე, როგორებიცაა: სახელმწიფო წყობის ფარგლებში თავისუფლების ცნების როლი, პოზიტიურ სამართლად გარდაქმნამდე ადამიანის უფლებათა „მოთვინიერების“ ეტაპები, მიჯნა პოზიტიურ და განუყოფელ, თანდაყოლილ, ბუნებით უფლებებს შორის, „დისკრიმინებულ“ ადამიანთა უფლებების არსი და რეგლამენტაციის პრობლემები. წიგნში გარკვეული ადგილი ეთმობა ისეთი დილემების განხილვას, როგორებიცაა: კონსტიტუციურ უფლებათა ზუსტად განსაზღვრის საფუძვლები, მათი შეზღუდვის ფარგლები და პირობები.

მეცნიერულ, თეორიულ სიღრმესთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს მრავალფეროვანი ინფორმაციის გადმოცემისას გამოყენებული შაიოსეული ენის ხატოვანება და მოქნილობა, რომელიც უაღრესად საინტერესოს ხდის ნაშრომის გაცნობის პროცესს.

მოქმედი კონსტიტუციის ოპონენტებს შორისაც კი ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულებაა საქართველოში კონსტიტუციური კონტროლის დამკვიდრების ეფექტურობასთან დაკავშირებით. თუმცა სახელისუფლებო სისტემის ეს უმნიშვნელოვანესი და უახლესი ინსტიტუტი სრულყოფილი სახის მიღწევამდე გარკვეულ პერიოდს მოითხოვს. მისი სტატუსისა და პრაქტიკული როლის განმტკიცებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კონცეპტუალური დებულებების შემუშავებას. ამ მიმართულებით საინტერესოა მსოფლიო პრაქტიკის გაცნობა, შედარებითი ანალიზი, შეფასება და ერთგვარი ფილტრაციის შედეგად ქართულ სინამდვილეში დანერგვა-რეალიზაცია. განსაკუთრებით საინტერესოა იმ სახელმწიფოთა გამოცდილება, რომლებშიც საქართველოს ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა. ამიტომაც ასე ფასეული *ჰერმან შვარცის* ნაშრომი „კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში“, რომელშიც მოცემულია აღმოსავლეთ ევროპის ხუთი სახელმწიფოს – პოლონეთის, უნგრეთის, რუსეთის, ბულგარეთისა და სლოვაკეთის – კონსტიტუციური კონტროლის ინსტიტუტების სამართლებრივი ანალიზი შესაბამის ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე. მასში მკაფიოდ ჩანს *ჰერმან შვარცის* დაულალავი შრომის კვალი. წიგნში თავმოყრილია მდიდარი, მრავალფეროვანი მასალა პოსტკომუნისტური სივრცის მოცემულ მონაკვეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, სოციალურ-პოლიტიკური კლიმატი, რომელმაც ფონი შეუქმნა კონსტიტუციური მართლმსაჯულების ჩამოყალიბებასა და თავისებურებებს. ნაშრომში განხილულია მისი როლი „ავტორიტარული კომუნიზმის კონსტიტუციურ დემოკრატიად“ ტრანსფორმაციის, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფისა და რეგიონში ფესვგადგმულ სამართლებრივ ნიჰილიზმთან ბრძოლაში. გარკვეული ადგილი ეთმობა მითითებული ორგანოების წარმატებისა თუ მარცხის კვლევას, მათი განმაპირობებელი მიზეზების გამოვლენას. *ჰერმან შვარცის* ნაშრომში ჩამოყალიბებულია ავტორისეული დასკვნები კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოების ეფექტიანი ფუნქციონირების მოცულობასთან, ხელისუფლების გადანაწილებაში მათ რეალურ როლთან დაკავშირებით. გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი მათი

იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა

პოლიტიკისგან იზოლაციის აუცილებლობას და ამ პრინციპის რეალიზაციის პრობლემებს. ავტორი იკვლევს „კონსტიტუციის დარღვის“ მიერ მიღებული თვალსაჩინო გადაწყვეტილებების ხარისხსა და ცვლილებების საჭიროების შესაძლო შემთხვევებს.

ანდრაშ შაიოსა და ჰერმან შვარცის ქართულენოვან თარგმანებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ არა მხოლოდ კონსტიტუციონალიზმის თეორიითა და პრაქტიკით დაინტერესებული იურიდიული საზოგადოებისათვის. ქართულ სამართლებრივ სივრცეში მსგავსი ნაშრომების ხელმისაწვდომობა და სიმრავლე ერთგვარი წინაპირობაა საქართველოში კონსტიტუციური მეცნიერების აღორძინება-განვითარებისათვის.

ნანა ჭილაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კონსტიტუციური სამართლის პროფესორი